ქართველთა საზოგადოების ბიბლიოთეკა


გაზეთის ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პრისპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


კვირას, 22 მარტს

ტფილისის კლუბში (მუხრან-ბატონის სახლში), საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე, გამართული იქნება

**სასულიერო კონცერტი.**

კონცერტს გამართავს საქართველოს ეგზარხოსის ხორო

მამა აუშევის ლოტბარობით.

ბილეთები ისყიდება კლუბის შვეიცართან.

---

ტფილისი, 18 მარტი

ჩვენ ის დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ჩვენში, როგორც ევროპაშიაც, ორ ნაირი დუღილი იციან ღვინისა და რადგანაც ეს თავის ადგილას არ მოვიხსენიეთ, ბოდიშს ვიხდით, რომ ხელ-ახლად ამ საგანზედ ჩამოვაგდებთ საუბარსა. ერთ ნაირი დუღილი დახურულია და მეორე ახდილი. ჩვენში დახურულს დუღილს მისდევენ უფრო ალაზნის მარჯვენა მხარეს, ნამეტნავად სიღნაღის მაზრის სოფლებში და ახდილს კი—უფრო გაღმა მხარში, ალაზნის მარცხენა მხარის ადგილებში. სადაც დახურული დუღილია, იქ რაკი თავის ზომის ჭაჭას მისცემენ „ტკბილსა“, ქვევრის ყელში ჯვარედინად ჯოხებს გასჭედენ საკმაოდ ხშირად, რომ, თუ ვინიცობაა ჭაჭამ დუღილის გამო ქუდის გასაკეთებლად ძალიან ამოიწიოს, ქვევრს სარქველი არ ახადოს და არ ამოვიდეს. აგრე გაწყობილს ქვევრს დახურვენ სარქველს და მიწას მიაყრიან. დუღილისაგან ამომხდარს ბუღსა, მაგალითებრ, ნახშირ-მჟავისას ამ გზით გამოსავალი აქვს იმოდენად საკმაო, რომ შიგ არ ჰგუბდება და გარეთის ჰაერის მიკარებას კი ამ გზით ცოტა არ იყოს დაბრკოლება ეძლევა, რადგანაც დახურულის დუღილის ერთი მიზეზი ეს არის სხვათა შორის. ახდილის დუღილისათვის კი სარქველს ხშირად არა ჰხურავენ და თუ ჰხურავენ, მიწას აღარ აყრიან ასე, რომ ტკბილი ზეზე ჰდუღს და ზოგჯერ მდუღარი ტკბილი ქვევრის ნაპირებზედაც გადმოვა ხოლმე. როცა ტკბილი დიდის დუღილის შემდეგ უკან ჩაიწევს, ჯოხებს ქვევრის ყელში მაშინ უკეთებენ, მას შემდეგ დაჰხურვენ და მიწას მიაყრიან. რვა-ცხრა დღის შემდეგ ჭაჭა ზევით ამოვა, მიებჯინება ჯოხებს და ქუდს იკეთებს. ამ ქუდს, მინამ გასტეხენ და დაურევენ, ჯერ ზემო პირს მოსწმენდენ დიდის გულ-მოდგინებით იქამდე, ვიდრე მშრალს ჭაჭას მთლად არ ამოიღებენ და სველზედ არ დავლენ და ამის შემდეგ დაურევენ. ამას იმიტომ ჰშვრებიან, რომ სიმშრალისაგან დამჟავებული და ძმარ-შეპარებული ჭაჭა, ჭაჭისა და ღვინის ჭუჭყი არ ჩააყოლონ. ღვინო, რასაკვირველია, დარევის შემდეგ კიდევ ცოტად წამოჰდუღდება, ჭაჭა თან-დათან ძირს წავა და თხლესთან ერთად დაიძირება. ამას ხანი უნდა და ამ ხანის გავლის შემდეგ კიდევ ახდიან ქვერსა და თუ ქვევრს წიპწა რამ, ანუ პრკე, ანუ რაიმე ქაფი ზედ-მოუგდია, ამას ყოველს ბეჯითად ამოსწმენდენ და თუ აბურცული ყურძნის მარცვლის კანია, ამას კი, ხელ-ახლად დასრესენ ხელით და ტკბილს მისცემენ. მერე გადამსების თავდარიგს შეუდგებიან. გადამსებაში დიდს სიფრთხილეს ჰხმარობენ, რომ ერთი ერთმანეთის ფერის, სიმაგრის და გემოს ღვინო მიუყენონ. ხშირად სრულად გავსებას ქვევრისას დრომდე აქაც ერიდებიან, რადგანაც იციან, რომ ღვინო ჩუმს დუღილს დიდხანს არ მოიშლის და ეშინიანთ ან ღვინომ არ ამოიწიოს და არ გადმოვიდეს ქვევრიდამა, ან ქვევრი არ გახეთქოს დაუტევრობისაგან, თუ სხვა გზა არა აქვს. ევროპაში დახურულს დუღილს მხოლოდ იმოდენად კი დახურულს, რომ დუღილის ბუღს გამოსავალი ჰქონდეს,—ამჯობინებენ. თუ ჩვენში ზოგან ახდილი დუღილია, ეს უვიცობას არ უნდა მიაწერონ, რადგანაც ჩვენც ვიცით დახურული დუღილი და თუ ზოგან არ მივდევთ ამ ნაირს დუღილსა და ზოგან მივდევთ, რაიმე პატივ-სადები მიზეზი უნდა იყოს ან ადგილზედ, ან ჰავაზედ, ან სხვა რაზედმე დამოკიდებული. ჩვენებურნი მეცნიერნი იმის მაგიერ, რომ ხელ-აღებით მჩვარში გვხვევენ, ისა სჯობია ამ მიზეზის გამოძიებას შესდგომოდნენ. იქნება ამით საცოდნელად ღირსი რამ ამოეჩინათ და იმათთვისაც კარგი იქნებოდა და ჩვენთვისაც.

ეხლა გადავიდეთ, ღვინის გამძლეობისათვის რა ღონეა ჩვენში მიღებული. წინადაც ვსთქვით,—ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ყველამ კარგად იცის, რომ გამძლეობის უნარი, თუ თვითონ ღვინოს არა აქვს ბუნებისაგან თან დაყოლილი, უწამლოდ ამისი აჩენა შეუძლებელია. ესეცა ვსთქვით, რომ არის ჩვენში იმისთანა ჯურის ყურძნისა და იმისთანა ადგილის ღვინო, რომელსაც ეს უნარი ბუნებითად თან დაყოლილი აქვს. რომელიც ღვინის მოწამვლას ერიდება და მარტო ბუნებურ ღვინოზეა მიქცეული, როგორც ჩვენში, იმან ძალიან კარგად იცის, რომელი ყურძნის წვენი გამძლე ღვინოს იძლევა და რომელი ადგილი და რა გვარად კაცმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ ეს გამძლეობის უნარი ღვინისა არ დაიხშოს. ჩვენებურმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ ამისათვის მარტო ერთად-ერთი ღონეა: იმდენჯერ წმინდად გადაღება ღვინისა, ვიდრე ღვინო ლექის კეთებას არ მოიშლის. ამის შესატყობრად აი რა არის საჭირო: როცა ქვევრში, თუ ბოჭკაში თხლე-ჭაჭიდამ გადაიღებენ დაწმენდილს ღვინოს, მაშინ ერთი ბოთლი ღვინო უნდა ამოიღოს კაცმა, კარგად დაუცვას და იმავ ქვევრის თუ ბოჭკის ადგილას დასდგას. დრო-გამოშვებით ინახულოს ეს ბოთლი და როცა ჰნახავს, რომ ღვინოს ლექი გაუკეთებია ბოთლში, უსათუოდ ქვერსა და ბოჭკაშიაც ლექს გაიკეთებდა. ქვევრისათვის ეს ისეთი ზედმიწევნილი ნიშანი არ არის, როგორც ბოჭკისათვის, იმიტომ-რომ ქვევრი, რადგანაც მიწაშია და ბოთლი ზეზე ჰაერზედ, გარემოება ერთისა და მეორისა სხვა-და-სხვა არის სითბო-სიცივის და სინათლის სხვა-და-სხვაობის გამო. ამიტომაც შესაძლოა, რომ ქვევრმა უფრო გვიან გაიკეთოს ლექი, ვიდრე ბოთლმა. აქ მარტო დროს მეტ-ნაკლებობა ითამაშებს და ამას გამოცდილება ადვილად დაასწავლის კაცს, რომელი იკეთებს ადრე თუ გვიან ლექსა. ამ სახით, რაკი ბოთლში ღვინომ ლექი გაიკეთა, მაშინვე უნდა გადაიღონ და ესე მოიქცნენ, ვიდრე უკანასკნელად გადაღებული ღვინო ბოთლში ლექს აღარ გაიკეთებს. ლექი აღარ ექმნება. რომ ვსთქვით, ეგ მეტის-მეტი მოგვივიდა, იმიტომ-რომ ამ გზით ძალიან კარგად გამოყენებული ღვინოც კი, თუ ძალიან დიდხანს შეინახა ბოთლში, მაინც ლექს გაიკეთებს თავის დროზედ, მაგრამ კარგად გამოყენებულის ღვინის ლექი ერთს ღარზედ, ანუ ხაზზედ კეთდება და გარშემო კედლებს ბოთლისას არ გაევრის ხოლმე, როგორც ეგ გამოუყენელმა ღვინომ იცის. ღვინოს ზემოხსენებულის გზით გამოყენებას ხუთი და ექვსი წელიწადი უნდება და ამ ხანში ლექის გაკეთების უმალვე გადაღება და გადაწმენდა უსათუოდ საჭიროა, თუ გსურთ რომ ღვინო გამძლე იყოს.

რაკი ესე მოუარეთ ხუთისა თუ ექვსის წლის განმავლობაში ღვინოსა, მერე კი ბოჭკებიდამ თუ ქვევრებიდამ ღვინო ბოთლებში უნდა ჩაისხას და განგებ არჩეულის პრობკით დაიცვას მაგრად. ბოთლების დაწვენით შენახვას უფრო ჰრჩეობენ ევროპიელნი, რადგანაც ამ გზით პრობკა ყოველთვის სველია და თუ გაშრა კი, როგორც აყენებულს ბოთლს მოსდის, ღვინის სუნი ადვილად გზას იპოვის გამოსასვლელად. თუ ამ რიგად დაწვენილმა ბოთლმა გარშემო კედლებზედაც ლექი მოიკიდა, ეს იმისი ნიშანია, რომ აჩქარებულან და კარგად გამოყენებული ღვინო არ ჩაუსხამთ. უცოდინარნი კი სწორედ ამ კედლებზედ გაკრულ ლექით სტყუვდებიან და უვიცობის გამო იძახიან: აბა კარგად გამომდგარი ღვინო ეს არისო. სულ სხვაა თუ ბოთლმა ლექი გაიკეთა მარტო იმ მხრივ, რომელზედაც დაწვენილია და მარტო ამ მხრის ერ-

---

# ფელეტონი

## სამეცნიერო ამბები

წუწუნი და ჩივილი არაფერი ფარ-ხმალია.—ჩვენი მტერ-მეგობარი.—ხან დედა, ხან დედი-ნაცვალი.—განრისხებული მტერი.—მიწის-ძვრა.—სახელ-განთქმული ანტიოქია.—დედა-მიწის ზურგიდგან აღგვილი ქალაქი.—სიცილიის და ისკიის კუნძულები.—ლისაბონის მიწის-ძვრა.—უზარ-მაზარ ზღვის შერყევა.—მტრის მოულოდნელად თავ-დასხმა.—სამგვარი მიწის-ძვრა.—დალუპული კუნძული.

ბევრი განსაცდელი აქვს, ბევრი უბედურება სდევნის ადამიანსა ამ ქვეყნად. მაგრამ რას იზამ! ასეთი ზნე სჭირს ამ სოფელსა „ცუდ სამყოფელსა“. მოკლე გზა აქვს ადამიანს ამ ქვეყნად გასავლელი, და ეს გზაც კი ვარდით არ არის მოფენილი, ყოველ ნაბიჯზე განსაცდელი მოელის ადამიანსა. დაუნდობელია ეს სოფელი.

ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ადამიანი უნდა წუწუნებდეს და სჩიოდეს, ემდურებოდეს და სწყევლიდეს თავის ბედსა და თავსა. არა „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“. წუწუნი და ჩივილი ქვეყანას ვერ ააშენებს, საქმეს ვერასოდეს ვერ გააკეთებს და არც არაფერი მტრის-მოსაგერებელი ფარ-ხმალია.

ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ კაცობრიობას არც უფიქრნია, ეს ქვეყანა მარტო წუწუნით და ჩივილით გაასწოროს. ხანგრძლივი ცხოვრება მიუძღვის კაცობრიობას ამ ქვეყნად და მუდამ, მხნედ უბრძვია თავის აუარებელ მტრებთან.

მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს ადამიანს და ეს მტერი ხშირად გულს უკლავს, იმედს უკარგავს და სასოწარკვეთილებაში აგდებს. ადამიანს გულს ისა სწყვეტს, რომ ეს მტერი ამავე დროს ჩვენი ერთგული, საიმედო მეგობარია, ჩვენი მოკეთეა, საზრდოს მომცემი. მტერი რომ იყოს მარტო, ადამიანი როგორმე გაუძლებოდა, ფრთხილად იქნებოდა,—საშიშარიც მაშინ არის მტერი, როცა ერთსა და იმავე დროს გმტრობს და გმეგობრობს კიდეცა, ისარს გესვრის და მშვილდს კი ჰმალავს.

ასეთი მტერ-მეგობარი ადამიანისა ჩვენი მიწაა, ის მიწა, რომელსაც ასე შევხარით და შევტრფით, და დედას ვეძახით. ან კი დედა რატომ არ უნდა დავუძახოთ: იგი გვაწოვებს ძუძუს, გვკვებავს და გვაცხოვრებს. მერე როგორ ვენდობით, როგორ მაგრად, უშიშრადა ვდგევართ ამ დედა-მიწაზე! შეჰხედეთ ამ დიდრონ ქალაქებს, ამ უზარ-მაზარ შენობებს! რამოდენა ტვირთს იდგნობს დედა-მიწის ზურგი! როგორ გულ-არხეინად ვართ, რა სიხარულით და თავ-მომწონედ შევყურებთ ამ ჩვენის ხელის ნამოქმედარსა.

წყალს სახელი აქვს გატეხილი. წყალი მუხანათია, დაუდგრომელია, ათას გვარ განსაცდელს და უბედურებას უქადის ადამიანსა. ამიტომაც წყალს ასე ძნელად ვენდობით. ბევრი-ბევრიც თუ წყალს რამდენიმე ხომალდი და რამდენიმე ათასი კაცი ვანდეთ. მიწა, ხმელეთი-კი ისე მაგრა და მკვიდრადა დგას, რომ ადამიანს ფიქრადაც ძნელად მოუვა, თუ ამასაც ღალატი შეუძლიან. დიახ, კიდეც ისა სცემს ადამიანს შიშის ზარსა, რომ ერთბაშად, მოულოდნელად ჰღალატობს ის, რაც ამის ერთგულ, სანდო მეგობრად, მოკეთედ ითვლება, და ხან-და-ხან კი დედი-ნაცვლად გვეკიდება. მტრის ღალატს შეუძლებს ადამიანი, მტრის ღალატი ისეთ ვნებას ვერ მოგცემს, როგორც მეგობრისა. მტერთან მუდმივ ჰფხიზლობთ, ფრთხილადა ხარ, მტერს თვალს არ აშორებ, დროზე მზად დაუხვდები, მეგობარს კი ენდობი, ამისგან არაფერს მოელი და ამიტომ ამის ღალატი უფრო მეტად და მეხად დაგვეცემა ხოლმე თავზე.

***

მართლაც და ადამიანი გულ-არხეინად დადის დედა-მიწაზე, ზის თავის მაგრად და მკვიდრად აშენებულ სახლებში. მუშაობს, შრომობს, ჯავრობს, ავ-კაცობს, მხიარულობს, სიამოვნებს, სტკბება ცხოვრებით, ფიქრი და შიში არაფრისა აქვს. ან კი რის ფიქრი უნდა ჰქონდეს. სახლი ჰაერში ხომ არ აქვს აშენებული, რომ ქარმა წაიღოს, წყალზე ხომ არა აქვს აგებული, რომ წყალი აღელდეს და სახლი პირ-ქვე დაამხოს. სახლი მკვიდრად დგას დედა მიწაზეა, ადამიანს ფეხი მაგარ საფუძველზედ უდგა. ამ მაგარ საფუძველს ვერც ქარი შეანძრევს, ვერც ზვირთი წყლისა.

ასე გულ-მოსვენებული, დაიმედოვნებული არის ადამიანი, ეძლევა ცხოვრებას და ებრძვის მხოლოდ იმ მტრებსა, რომელნიც ცხოვრების გზაზე თვალ წინ ელობებიან. ის კი ფიქრად არ მოსდის, რომ ამ დროს მოუსვენრად არის ერთი ამის დაუცხრომელი მტერი, რომლისათვისაც ჩვენს დედას, მიწას, თავისი სქელი კალთა გადუფარებია და ჰმალავს. ეს მტერი ქვეშ, დედა-მიწაში, ბნელ ჯურღმულში ჩუმ-ჩუმად დაძვრება და დიდს უბედურებას უმზადებს ადამიანს; ამ მტერს გული თითქოს შურითა აქვს სავსე. თითონაც არ მოსწონს თავის ქვესკნელი საცხოვრებელი და იმათაც თითქოს შურის თვალით უყურებს, ვინც დედა-მიწის ზურგზე სინათლეზე სცხოვრობს. და აი როდესაც ჯავრი, სვედა

თის ხაზის გაყოლებაზე. მაშინ ითქმის, რომ ღვინო კარგად გამოყენებული ჩაუსხამთ ბოთლში. მართალია, ამ გზით ღვინოს გამძლეობა ეძლევა და რაც ხანი გადის, უფრო-და-უფრო კეთდება, ხოლო ხანს ღვინისას, მის გამძლეობას თავისი საზღვარი აქვს და თუ ღვინო ამ საზღვარს გადასცილდა, ეკარგება თავისი გემო, ღირსება და ფასი.

ჩვენ ჩვენს მეცადინეობას ბოთლებში გადაღებამდე არა ვჭიმავთ, იმიტომ-რომ სახეში არა გვყავს ვისთვის და რისთვის ავიკვიატოთ ამოდენა დავიდარაბა და ვაი-ვაგლახი. ჩვენ ღვინის ქვევრში შენახვის იქით აღარ მივდივართ, რადგანაც ჩვენის ეხლანდელის ბაზრის მიხედვით — ეგ მეტი ციებ-ცხელებაა. აბა უტკივარს თავს განგებ ვინ აიტკიებს მარტო ცარიელ სახელისათვის, ნამეტნავად იმისთანა საქმეში, სადაც სახელთან ერთად გამორჩომის იმედიც ამოქმედებს კაცსა, როგორც, მაგალითებრ, ყოველს საეკონომიო მოღვაწეობაში საერთოდ და ღვინისაში საკუთრივ.

## იოსებ დავითაშვილის

### გარდაცვალების გამო *)

საბრალო გახდი, პოეტო,
უპყრიხარ მდუმარებასა,
გერსად წაუხვალ, ბეჩაო,
მუხთალის სოფლის ვნებასა:
გგლოვობენ ბედით ჩაგრულნი,
აბნევენ მდუღარებასა.

მოგვშორდი, თვალი მოჰხუჭე
სიცოცხლით დაუტკბობელმა,
ვერცა გიხილეთ მომმეთა,
ვერც დაგიტირა მშობელმა;
შეგიპყრო ცივმა სამარემ,
უფსკრულმა დაუნდობელმა.

სიცოცხლეს ლევდი ტანჯვაში,
გული რაღასაც ელოდა,
თავისზედ გაჭირებულსა,
რითაც შაეძლო, შველოდა;
ყველგან გულ-ღია ვიდოდის
ბევრისებრ არა მელობდა.
მაგრამ დახედე მუხთალ ბედს,
შენც შავი სვედრი გელოდა!

მიწამ გიმოყმა, ბედ-შავო,
დღენი ვერ ნახე მზიანი,
ვერც გაზაფხული, ბულბული,
ვერც აგიყვავდნენ იანი.

ნუ თუ გქონა იმულებული
უკულმა სოფლის დენამა,
მოჰშორდი ცოდვის ქვეყანას,
რომ ცრემლით აღარ გენამა?

ასე სწრაფლ რამან მოგხაბლა,
შორით ვითა ვსცნა მენამა?
დაჰმარხე გულში, წარიღე
რაც ვერ გამოსთქვა ენამა!?

მუშა იყავი, მით გრძნობდი
მუშისვე გულის წუხილსა
და შენაც თანაუგრძნობდი
ტანჯულის სისხლის დუღილსა.

მხნეობდი, ძმაო, მათ შუა,
არ ჰშორდებოდი კრებასა:
დაზგაზე რანდით ლამობდი
მრუდე ხის გასწორებასა.

აღარ გაცალა საწუთრომ,
ჩარხის უკულმა ტრიალმა;
მოგიგდო მაცდურ ბადეში,
არ გაგიტანა ტიალმა.

აწ განისვენე, შესრულდა
შენზედც ბუნების ძალაო,
შენს მოსაგონად დაგვრჩება
პატარა ყრმების «ლალაო». *)

*) ეს ლექსი მოგვივიდა შემდეგს წერილთან ერთად: „ბ-ნო რედაქტორო! გუშინდელს გაზეთს „ივერიაში“ დაბეჭდილმა დეპეშამ, რომელიც იყო გამოგზავნილი თელავიდამ განსვენებულის იოსებ დავითაშვილის სიკვდილზედ, მიგვცა ფრიად შემაძრწუნებელს მწუხარებას გორის საზოგადოების მოყვასნი და მცნობნი გარდაცვალებულისა. ვწუხვართ სულითა და გულით და გლოვობთ სახალხო კილოთი მწერალს პოეტს და ყველა ხელოსნის კეთილს დამრიგებელსა და სწორე გზაზედ დამაყენებელს კაცს. გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთს „ივერიაში“ ამ ჩვენს მწუხარებას შორიდგან მიუწვდენელ ცრემლის მაგიერ.

*) როდესაც იოსებ დავითაშვილი მიემგზავრებოდა თელავში, სოფ. რუისის მასწავლებელს ბ-ნს საძ—ლს დაუტოვა დასაბეჭდად პატარა ყრმათათვის საკითხავი ლექსების რვეული, რომელსაც სათაურად აწერია „ლალა“. ლექსის ავტ.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოება“-ს თავის სკოლაში სოფელს ხელთუბანს, გორს ახლო, დაუნიშნავს მასწავლებლად ბ-ნი კერესელიძე, რომელსაც სწავლა გორის საოსტატო სემინარიაში შეუსრულებია.

*** ამავე „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გაუთავებია შედგენა თავის მდიდარის ხელ-ნაწერების ბიბლიოთეკის კატალოგისა. სულ 900 სახელწოდების ქართული წიგნი და ხელნაწერია ამ კატალოგში მოხსენებული. კატალოგი მალე დაიბეჭდება.

*** დიდს გაჭირებაში არიან ჩვენებური წიგნის მბეჭდველნი და გამომცემელნი, რომელნიც იძულებულნი არიან სხვა-და-სხვა მაღაზიებში დაარიგონ ხოლმე თავიანთი წიგნები გასასყიდად. ზოგიერთი მაღაზია კიდევ სინიდისიერად ექცევა წიგნის პატრონთ და ანგარიშს პირ-ნათლად უსწორებს, მაგრამ ზოგი-კი მეტად უყურადღებოდ ექცევა წიგნის პატრონსა და მბეჭდველსა. ამას წინად გაიმართა ხიდის ყურზე წიგნების მაღაზია. ამ მაღაზიამ სულ რამდენსამე თთვეს იცოცხლა. ამ ხნის განმავლობაში ბევრისაგან მიიღო წიგნები კომისიით გასასყიდად, მაგრამ ზოგისთვის ჯერჯერობით ანგარიში არ მიუცია. ერთმა წიგნის დამბეჭდველმა შემოგვჩივლა, რომ ერთს მაღაზიას 70—80 მან. წიგნები გადაეცი და ანგარიშს ველარ ველირსეო; „წერა-კითხვის საზოგადოებაც“ ამასავე ჩივის. ვერაფერი ნიშანია ჩვენში წიგნების ბეჭდვის გაძლიერებისა და წიგნებით ვაჭრობის აღორძინებისა.

*** დადგა გაზაფხული და ჩვენს ქალაქში ისეთი თბილი დღეები დაიჭირა, რომ სახლში გული აღარ უდგება ხალხს: ბულვრები და ბაღები სავსეა მოსეირნე საზოგადოებით. მუშტაიდისკენ აქცევა აღარ არის, იმოდენა ხალხი მიეშურება მუდამ დღე. ცხენის რკინის-გზის გამგეობა კმაყოფილებით იფშვნეტავს ხელებს, ამ გაზაფხულის თბილს დღეებს რომ შესცქერის: გამგეობა დიდს სარფაშია, რომ ხალხი ასე თავ-პირს იმტვრევს ვაგონში ალაგის შოვნისათვის მუშტაიდისა და ორთაჭალის ბაღებისაკენ წასასვლელად.

*** ბევრი პირველ-გამოზაფხულების გახარებული ტფილელი ეტანება აგრეთვე ესრედ-წოდებულს ბოტანიკის ბაღს, რომელიც ნარიყალის ციხის გვერდზეა გაშენებული, აბანოების ზემოდ. მართლაც ეს ბაღი ფრიად სასიამოვნო სამყოფია გაზაფხულზე, როცა სხვა-და-სხვა ხეხილი ჰყვავის და ათას-ფერად იშლება. სამწუხაროდ ეს ბაღი დაკეტილია და არავის არ უშვებენ შიგ უბილეთოდ. ბილეთი მსურველმა უნდა აიღოს მსწავლულის მებაღისაგან, ბ-ნ შრერისაგან, რომელიც კუკიაში სცხოვრობს, ელისაბედის ქუჩაზე. ყველასათვის მოსახერხებელი არ არის, რომ შრერთან იაროს ბილეთისათვის და ამ გვარად ბოტანიკის ბაღი თითქმის არავითარს სიამოვნებას არ აძლევს ტფილელებსა.

*** ამ დღეებში გაუთავებიათ ივრის-ხეობაზე შედგენა სამხედრო ბეგარის შემოღებისათვის საჭირო სიებისა.

*** გორიდგან გვწერენ, რომ ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა თავისის განაჩენის აღსრულებას ძაღლების შესახებ: ამ დღე მაწანწალა ძაღლებს ხოცვენ საწამლავითა და ეზიდებიან ქუჩა-ქუჩა. ვგონებ იმდენი ძაღლები არსად იყოს და არის, რამდენიც გორში; ამ მხრივ გორი, ასე გასინჯე, სტამბოლსაც არ ჩამოუვარდება, რომელიც ისე განთქმულია მაწანწალა ძაღლების სიმრავლითა. მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ სტამბოლელი ძაღლები ზრდილნი არიან, გორელი-კი ერთობ ბრიყვნიო.

*** ქართლიდგან გვწერენ: ამ გაზაფხულმა ხელი გამოგვისვა და საცა არა მგონია ხალხი იხოცება სახადით, მჭლითა და სხვა-და-სხვა ნაირის სენითა. პირუტყვიც ძალიან შეაწუხა მარტის სიცივეებმა, განსაკუთრებით შეწუხდა ცხვარი, რომელიც ეხლა დოლობს და წელში ვერ გაიშალა უამინდობის გამო. ხალხი უხნავი დარჩა; საშემოდგომო საკმაოდ ვერა ჰხნა, რადგანაც ენკენისთთვის ნახევრიდგან დაიწყო ცუდი ამინდები; ახალ-თესლებისათვისაც ჯერ გუთანი არ გაუტანია, ასე რომ, თუ შარშან ორმოცის დღისა ჰქონდა ჩვენებურს გლეხსა ნახნავი, წელს იმის ნახევარი აღარ ექნება. ქერი და დიკა თუ ეხლა არ დაითესა, ძალიან დაუგვიანდებათ; სიმინდს აპრილის ნახევარშიაც არა უშავს-რა.

*** 22 მარტს ტფილისის კლუბში საქართველოს ეგზარხოსის ყოვლად სამღვდელო პავლეს ხორო მგალობელთა გაჰმართავს სასულიერო კონცერტსა. ამ კონცერტის შემოსავალი დანიშნულია ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ.

*** ტფილისში წყლის გამყვან მილებისთვის რომ თხრილებსა სჭრიდნენ, ბევრგან ძველი საარქეოლოგიო საყურადღებო ნივთები აღმოჩნდა. ზოგს ამ გვარს ნივთს მუშები ყურადღებას არ აქცევდნენ და ჰყრიდნენ, როგორც უმნიშვნელო საგნებს. ერთს ტფილელს მოსვლია ფიქრად ყველა ამ ნივთების მოგროვება და კიდეც შეუძენია 40-მდე სხვა-და-სხვა ასე თუ ისე საყურადღებო ძველი ნივთი. ერთს ამ გვარს ნივთში ამ კაცს 80 მან. მიუცია მპოვნელისათვის. (გაზ. „ნოვ. ობოზ.“)

*** აქაურის ღვინის მოვაჭრე თ. ზ. ჯორჯაძე, როგორც გვატყობინებს „ნოვ. ობოზრ.“, აპირობს ხარკოვის სრულიად რუსეთის გამოფენაში თავისი საკუთარი ღვინოებიც იქონიოს. თ. ჯორჯაძის ყოველ გვარი ღვინოები გამოფენის დროს ძრიელ იაფ ფასად გაისყიდებაო.

*** გაზეთი «კავკასი» გვაუწყებს: მთავარ-მმართებლის საბჭოში ხვალ განხილულ იქმნება პროექტი იმის თაობაზედ, რომ გადაიდოს 73,835 მან. 83 კაპ. გზების გასაკეთებლად ტფილისის გუბერნიაში.

*** „კავ. მიმოხ.“-ს ატყობინებენ ვლადიკავკაზიდამ, რომ მარტის 16-ს რამდენიმე ავაზაკი—ინგუშები დასცემიან სოფ. კამბილეევკაში გზა-ტკეცილის საბაჟოს სადგურს, მოუკლავთ ამ სადგურის უფროსი, გვარად ნიკიტინი, და წაუღიათ 248 მან. გზის ბაჟის ფული. ავაზაკების დასაჭერად გაგზავნილნი არიან ცხენოსანი კაცებიო.

შეიპყრობს, გულზედ ბოლმა მოაწვება, შეინძრევა, მხრებს შეირხევს და შეარყევს დედა-მიწასა: სახლები პირქვე ემხობა ასობით და ათასობით ადამიანი ქვესკნელს მიდის და ზესკნელს ესალმება. ესეც კი არ უკლავს შურს ქვესკნელში მყოფს მტერსა, მხოლოდ ცოტა ხნობით კი გულს მოუსვენებს, თითქოს შური მოუკვდა იმითი, რომ ქვესკნელს მარტოკა აღარ არის და ვისიც ბედი ჰშურდა, ისინიც ამასთან ერთს ტაფაში იწვიანო. მაგრამ გადის დრო, ეს შური კიდევ გულს მოაწვება და ეს დაუდგრომელი მტერი ხელ-ახლად შეუდგება ხოლმე თავის ძალ-ღონიერ საქმიანობასა.

***

მკითხველი, რასაკვირველია, მიჰხვდებოდა, რა არის ეს მტერი. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ის მტერი, რომელზედაც ჩვენ ველაპარაკობთ, მიწის-ძვრაა.

მას შემდეგ, რაც კაცობრიობას თავი ახსოვს, ეს მტერი სულ თან დასდევს, თუმცა კაცი ყურსაც არ იბერტყავს, მანამ განსაცდელი კარს არ მოადგება. ბევრი უბედურება შეუმთხვევია ამ მტერს კაცობრიობისათვის. ბევრი ქვეყანა გაუოხრებია, ბევრი დიდი და მდიდარი ქალაქი პირ-ქვე დაუმხია.

მეტადრე ზოგიერთი ადგილები ჰქონდა და დღესაც აქვს ამ მტერს ნიშანში ამოღებული და ამ ადგილებს ეტანება უფრო ძრიელ. საკვირველია, რომ მიწის-ძვრა უფრო იმ ადგილებს ემტერებოდა და დღესაც ემტერება, რომელიც თავის სიტურფით, სიმდიდრით აშვენებს ქვეყანას. ასეთი ადგილებია, მაგალითად, მცირე აზია, სადაც ჩვენი ქვეყანაც არის. ასეთია აგრეთვე ის ადგილები, რომელიც ხმელთა-შუა ზღვის და ატლანტის ოკეანის ნაპირებზეა. საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთის, ისპანიის ქალაქები არა ერთხელ დაუნგრევია და გაუნადგურებია მიწის-ძვრასა.

სადღაა დღეს, მაგალითად, ის მდიდარი, სახელ-განთქმული ქალაქი, ანტიოქია, რომელიც ერთს დროს თვით გამოჩენილს რომს არ ჩამოუვარდებოდა. ძველს დროში ანტიოქია ერთი უკეთესი ქალაქი იყო. აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის ვაჭრები სულ აქ იყრიდნენ თავსა. ინდოეთიდგან მოჰქონდათ საქონელი ევროპაში, თუ ევროპიდგან ინდოეთში, უთუოდ ამ ქალაქზე უნდა გაევლოთ, პირ-და-პირი გზა ამ ქალაქზე მიდიოდა. განუწყვეტელი მოძრაობა იყო ამ ქალაქში, სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა, დიდი აღებმიცემობა იყო აქ გაჩაღებული. ყველაზე უკეთესი მაუდი აქ კეთდებოდა იმ დროს. რაღა დარჩა დღეს ამ ქალაქის სახსოვრად? მხოლოდ რამდენიმე ნანგრევი დარჩენილა აქ დღეს იმის მოწმად, რომ როდისღაც ამ ადგილას ქალაქი ყოფილა. საშინელმა მიწის-ძვრამ, 115 წელს ქრისტეს შობის შემდეგ, ერთს დღეს ძირს დასცა, გაანადგურა ეს მდიდარი ქალაქი. ამაზე საშინელი უბედურობა ძნელია კაცმა წარმოიდგინოს: მიწა გაირღვა და 260 ათასი კაცი შთანთქა, ცოცხლად ჩამარხა. ამის შემდეგ ეს ქალაქი ველარ ადგა. ბევრჯერ სცადეს ეს ქალაქი კიდევ როგორმე აღედგინათ, ხალხი ვერ სთმობდა ამ მშვენიერს ადგილსა და მართლაც ქალაქი ცოტ-ცოტად გაშენდა კიდეცა, ვაჭრებმა ისევ დაიწყეს ამ ქალაქში მისვლა-მოსვლა, ქალაქს ქალაქის ფერი დაედო, თუმც ძველს, მდიდარს ანტიოქიასთან კი ფეხი ვერ მიაწვდინა. მაგრამ მერე კიდევ რამდენჯერმე მიწის-ძვრამ ააოხრა ეს ქალაქი და ბოლოს სრულიად დედა-მიწის პირთან გაასწორა.

***

საბერძნეთიც არა ერთხელ გაუოხრებია მიწის-ძვრასა. მეტადრე ერთი საშინელი მიწის-ძვრა იყო 426 წელსა ქრისტეს შობის წინ, ევბეის ზღვის პირას. ამ მიწის-ძვრამ რამდენიმე ქალაქი სრულიად დაანგრია და ათასობით ხალხი გაწყვიტა. ოდესმე სახელ-განთქმული ქალაქი საბერძნეთისა კორინთი სრულიად გაჰქრა დედამიწის ზურგიდგან ერთის საშინელის მიწის-ძვრისაგან. გამოჩენილი სპარტა, რომელიც ერთს დროს მთელის საბერძნეთის მოთავედ ითვლებოდა, მიწის-ძვრამ ძირს დასცა და დაამხო. 20 ათასი მამულის უკეთესი შვილი ერთს დღეს გასწყდა. ამის შემდეგ სპარტამ ზურგი ველარ მოიმაგრა, თუ აქამდინ პირველი ხმა ჰქონდა პოლიტიკაში, ამის შემდეგ სრულიად დაკარგა მნიშვნელობა. ამ უბედურებამ ათინა აღამაღლა და მთელ საბერძნეთში პირველ სახელმწიფოდ გახადა.

ამ სახით, მიწის-ძვრა პოლიტიკაშიაც ცვლილებას მოახდენს ხოლმე. როცა ისტორიკოსები რომელისამე ერის ისტორიულ სვე-ბედს იკვლევენ, ესეც რომ მხედველობაში იქონიონ, არა გვგონია, მეტი იყოს.

***

იტალიამაც ბევრი უბედურება გამოიარა მიწის-ძვრისაგან. მარტო იტალიის დედა-ქალაქში, რომში ასის წლის განმავლობაში ჩვიდმეტჯერ იყო მიწის-ძვრა. 1693 წელში სიცილიის კუნძულზე 60 ათასი კაცი დაიღუპა ერთის მიწის-ძვრის დროს. იტალიის სამხრეთ ნაწილში 1783 წელსა მიწის-ძვრა 5 თებერვალს დაიწყო და 28 მარტამდინ გასტანა. ასეთმა ხანგრძლივმა მიწის-ძვრამ, რასაკვირველია, საშინელი უბედურება დაატრიალა, 400 ქალაქი და სოფელი დაანგრია და 100 ათასამდი ხალხი გაწყვიტა.

ამ რამდენისამე წლის წინად ხომ ისეთი საშინელი მიწის-ძვრა იყო იტალიის ახლო, რომ მთელი კუნძული ისკია ზღვამ შთანთქა და წყალი გადაბურა. რასაკვირველია, ქალაქები და სოფლებიც თან ჩაიტანა, და ხალხიც ბევრი არ გადარჩენილა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. კაკი.** (ზაქათალის მაზრა), 10 მარტსა. ლამის ამ ზამთარმა ჩვენ კაკელებს იგივე ამბავი დაგვმართოს, რაც ქართლელებს დაემართათ. ჯერ იყო, ბატონო, და თებერვლის ხუთიდგან მოკიდებული ვიდრე ორი კვირა სულ სთოვდა, ხან გაბმით მთელი ორი დღე და ხან შეწყდებოდა ერთს დღეს და მეორე დღეს ისევ დაიწყობდა, გეგონებოდათ, ზამთარი ეხლა დადგაო. როგორც იყო ორის კვირის შემდეგ ველირსენით გამოდარებას, მზემ თავის მადლიანი სხივები უხვად მოჰფინა ჩვენს ქვეყანას და, ღვთის წყალობა გაქვთ, მალე ააკრეფინა ბებრუხუნა ზამთარს თავისი თეთრი ჩადრის კალთები.

გაშრა ყველგან; წყალიც აიმღვრა. ამ გარემოებამ გვანიშნა, რომ მთაშიაც ბლომად დნება თოვლი. მადლიანის მზის წყალობით ფრინველმაც გაიღვიძა, ტყეები და მინდვრებიც თითქმის ამწვანდნენ,—ერთის სიტყვით, სულიერმა თუ უსულომ, ყველამ გაზაფხულისკენ ჰქმნა პირი. მაგრამ აი დადგა ცხრა მარტი და ცამ ფერი იცვალა: დილიდგან მოკიდებული საღამომდინ განუწყვეტლივ სულ ქუჟუნა წვიმა მოდიოდა, ასე რომ ერთი წვეთიც წვიმისა არ დაკარგულა, მთლად დედა-მიწა ისვამდა. ეს ყველას, დიდს თუ პატარას, უხაროდა, ბალახი ჩქარა გაიზდება და ზამთრისაგან შეწუხებულს პირუტყვს ჩქარა მოეშველებაო, მაგრამ გუშინ საღამოდგან მოკიდებული დღეს საღამომდინ განუწყვეტლივ სულ თოვს და ვინ იცის, რამდენს ხანს ითოვებს; და მერე როგორა თოვს, ქალაქში თათრებიც არ აცხობენ იმ სიდიდე ლავაშებს, როგორიც აქ თოვლი მოდის. ნახევარ არშინზედ მეტი დასდო ჯერ თოვლი. ტყე-მინდორი ისევ თეთრად შეიმოსა, ზამთარმა ისევ თავისი თეთრი ჩადრი წამოისხა და თავისებურად ისევ კალთები ჩამოიშალა.

ვინ იცის, იქნება ლოცვაზედ სიარულს აპირებს ცოდვების მოსანანიებლად, რადგანაც ეხლა ამის დრო არის; ოღონდაც რომ ბევრი ცოდვები აქვს მოსანანიებელი. ვინ მოსთვლის, რამდენი ცოდვა ჩაიდინა წელს ამ ზამთარმა ჩვენს თუ უცხო ქვეყანაში? რამდენს გაუმწარა ტკბილი სიცოცხლე და საუკუნოდ გამოასალმა წუთისოფელსა.

ქართლელი

### უბედურება რკინის გზაზე

გუშინ-წინ, 17 მარტს, შუა-ღამისას ფონას და წიფას შუა რკინის გზაზე დიდი უბედურება მომხდარა. მიწის ზვავს რკინის გზის საყარაულო სახლი დაუტანია და შიგ მყოფი მძინარე მუშა ხალხი დაუხოცნია, რიცხვით, მგონი, რვა კაცი. ზოგი იძახის, რომ რიცხვი დახოცილის ხალხისა აღემატება რვასაო და ზოგი კი უფრო ნაკლებსაც ასახელებს რვაზედ. ერთის სიტყვით, დღეს ნამდვილი და მართალი ვერ გაგვიგია; ხვალ კი შევიტყობთ და ვრცლად გაცნობებთ.—საქონლის მატარებელი ამ დროს თურმე ფონიდგან მიმავალა და უცბად ამ ჩამოსულ მიწის ზვავში შეჭრილა. ორთქლით მატარებელი ცოტათი დაშავებულა და კონდუქტორებს კი არაფერი დაშავებიათ-რა. მიწა იმდენია ჩამოსული გზაზე, რომ ჯერ ვერც კი გადუყრიათ. ამისათვის ხალხის მატარებელი № 2, დღეს დილით ტფილისიდგან წამოსული, სდგას ხაშურის სადგურთან და უცდის გზის გაწმენდას.

ამას წინად კიდევ ამ თთვის 2-ს ბექათუმნის სიახლოვეს საქონლის მატარებელი ჩამოსულს მიწის ზვავში შეიჭრა, სამი ვაგონი დაიმსხვრა და რაც შიგ ნავთი იყო, სულ დაიღვარა და დაიქცა. კონდუქტორებს არაფერი დაშავებიათ არც აქ, რადგანაც ვაგონების დაჯახების უმალვე გადამხტარან მაღლიდგან თოვლში. საკვირველი ის არის, რომ ეს ამოდენა უბედურება ყოველთვის ღამ-ღამე ხდება ხოლმე.

ს. ლონლაძე

ამავე უბედურებაზე გვწერს უბედურების თვალით-მნახველი შემდეგის შემაძრწუნებელის დაწერილებითა:

„სამშაბათს დილას, ე. ი. 17 მარტს, ნაშუა-ღამევის პირველ საათის ხუთს წამზედ გადის ფონის სადგურიდგან საქონლის მზიდავი მატარებელი, ნომერი 98-ე. როდესაც ეს მატარებელი მიახლოვდა წიფის სადგურს, ორის ვერსის მანძილზედ, დაეჯახა მიწისა და ქვის ზვავს. წინა ორთქლით მატარებელი (აქ ორს ორთქლით მატარებელს უბმენ ხოლმე) გადასცდა გზას და დაზიანდა, ვაგონები არა დამტვრეულა-რა და არც კონდუქტორებს ევნოთ-რამე. მათმა იღბალმა იმუშავა და დაიფარა ღმერთმა.

როდესაც მოვიდნენ რამდენიმე გზის უფროსნი და მუშები შეჰკრიბეს, შემდეგი შემაძრწუნებელი სურათი დავინახეთ: აქვე ახლოს იდგა გზის მეთვალ-ყურის საყარაულო ქვითკირისა; ამ საყარაულოში სძინებოდათ რამდენსამე დღიურს მუშას და ორს ღამის ყარაულს: როდესაც ეს საშინელი ზვავი წამოსულიყო, დასჯახებოდა ამ საყარაულოს და ნაწილ-ნაწილად ექცია, ხოლო შიგ მყოფი მუშები და ყარაულები-კი საშინელის ტანჯვით ამოეხოცა. იმათზედ საცოდავი სანახავი აღარა იქნებოდა-რა, ისე იყვნენ დამახინჯებულნი. აღარ ეტყობოდათ პირი-სახე, ტანი მილეწილ-მოლეწილი ჰქონდათ და ცხვირ-პირი დაჭეჭყილი. ყველა მათს მნახველს გული გვეთუთქებოდა და უნებურად ცრემლები გვცვიოდა თვალებიდგან. ჯერ-ჯერობით არავინ არ იცის, რამდენი კაცი იმსხვერპლა ამ უბედურებამ, რადგან არავინ ცოცხალი არ გადარჩენილა და ყველა დაეტანა, ვინც-კი საყარაულოში ყოფილიყო. ოთხი მკვდარი კაცი ამოიღეს ჩემს იქ ყოფნაში და მეხუთეც გამოაჩინეს.*) მეხუთეს სახე სრულიად აღარ ეტყობოდა, ისე საცოდავად ჰქონდა თავ-პირი დამსხვრეული. არ ვიცით, კიდევ რამდენია ზვავ ქვეშ მოყოლილი. ზოგი-კი ამბობს, რომ სულ თერთმეტი კაცი უნდა ყოფილიყო იმ საყარაულოში ამ უბედურობის დროსაო. რამდენად მართალია ეს, ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვით. როდესაც სულ გასწმენდენ ამ ზვავს და გავიგებთ დაღუპულთა რიცხვს, მაშინ კიდევ გაცნობებთ; გაცნობებთ აგრეთვე მათს გვარსა და სახელებს. ეს საცოდავი მუშები თითქმის ყველანი ლეჩხუმიდგან ყოფილან ლუკმა პურისთვის გადმოხვეწილნი. ორი მათგანი ერთმანერთზე იყვნენ მიჭყლეტილნი. ასე უეცრად გამოესალმნენ ეს საცოდავნი ამ ჩვენს წუთი-სოფელს და ნათესავთა და ცოლ-შვილთა ცრემლიც არ ეღირსათ. ათას გაჭირებას გაუძლეს იმ იმედით, რომ სააღდგომოდ მაინც ენახავთ ჩვენს ცოლ-შვილს და გავახარებთ ჩვენის ნამუშავარითაო, მაგრამ ისე თქვენმა მტერმა გაიხაროს, როგორც მათი ცოლ-შვილი გაიხარებს ამ ამბის გაგონებაზედ!..

დროებით ფონაში მცხოვრები
სოფ. ფონა
17 მარტს

*) ჩვენ კერძოდ შევიტყეთ, რომ უკვე ათი კაცი ამოუღიათ. რედ.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** გაზ. „Vossische Zeitung“-ი ამბობს, რომ 8 მარტს ფილიპოპოლში კრება ჰქონდათ აღმოსავლეთ-რუმელიის დეპუტატებს და გარდაწყვიტეს, რომ რაც უნდა მოხდეს, ბოლგარიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ხელ-შეუხებლად დავიცვათო. ამას გარდა შეუდგენიათ საზოგადოება, რომელიც ცხარედ უნდა ებრძოდეს ქვეყნის შინაგანთა და უცხო მტერთაო. კრებას კომიტეტი ამოურჩევია 24 კაცისა და თავ-მჯდომარედ ამ კომიტეტისა დ—რი ჩუმაკოვია დანიშნულიო.

— ბოლგარიის შინაგან საქმეთა მინისტრი და მინისტრთა რჩევის პრეზიდენტი ბ-ნი რადოსლავოვი ბოლგარიის სოფლებსა და დაბებში დამოგზაურობს. ამბობენ, დიდი საერო კრება ბოლგარიისა მარტის დამლევამდე არ იქნება მოწვეულიო. სტამბოლოვი დაბრუნებულა სტამბოლიდგან და კვლავვე დაიჭირა იუსტიციის მინისტრის ადგილსაო. ოსმალეთთან მოლაპარაკება მარტო დ—რს ვულკოვიჩს-და ექნებაო.

— რუსეთის ქვეშევრდომს კაპიტანს ნაბოკოვს, რომელიც ბურგასის აჯანყებისა და არეულობის ერთი მეთაურთაგანია, 100-მდე კაცი ჩერნოგორიელი შეუკრებია და განზრახვა აქვს აღმოსავლეთ-რუმელიაში აჯანყება მოახდინოსო. ოსმალეთის მთავრობამ ეს ამბავი ბოლგარიაში შეატყობინა სარეგენტო მთავრობასა და ამ ჟამად ძალიან თვალ-ყურს ადევნებს ნაბოკოვის ყოველს მოქმედებას თურმე.

— სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Berliner Tageblatt“-ს: რიზა-ბეი დაეკითხა ოსმალეთის მთავრობას, რას მარჩევთ, დავნიშნო გამოძიება იმაზედ, რომ სარეგენტო მთავრობა სასტიკად მოექცევა თუ არა დაპატიმრებულ მეამბოხეთა და მაშველართაო, და პასუხად მიუღია, რომ არავითარი გამოძიება არ არის საჭიროო, და არც ნებას დაგვრთავს ბოლგარიის მთავრობა გამოძიების დანიშვნისასაო.

— ვენელი კორრესპონდენტი სწერს გაზ. „Matin“-ს: თუმცა ამბობენ, რომ ტყუილია ის ხმა, ვითომ ბოლგარიის მთავრობას ავსტრიის ოფიცრები მიეწვიოს თავის ჯარში, მე ნამდვილად შევიტყე, რომ ამ ჟამად ფილიპოპოლში 10-მდე [illegible] ოფიცერი ავსტრიის ჯარისა და ეს ოფიცრები ჯერ-ჯერობით ბოლგარულს ენასა სწავლობენო.

**ინგლისი.** გაზ. „Times“-ი დიდის სიხარულით და სიამოვნებით უამბობს თავის მკითხველებს იმ ამბავს, რომ იტალია, გერმანია და ავსტრია დაახლოვებიან და დაჰმეგობრებიან ერთმანერთსაო. გაზეთს უფრო ის მოსწონს, რომ ამ კავშირში იტალიასაც მიუღია მონაწილეობაო. ამ სამთა სახელმწიფოთა დამეგობრება ხელს მოუმართავს ინგლისის პოლიტიკას ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ. ინგლისისათვის თუ სასარგებლო არა, საზიანო ყოველ შემთხვევაში არ არის ეს ახალი შეკავშირება სამთა დიდთა სახელმწიფოთა. შეუძლებელია, რომ ინგლისის ინტერესები რაიმე შეეხალოს წინ ამ სამ სახელმწიფოთა ინტერესებს. შეიძლება კოლონიალურს პოლიტიკაში მოლაპარაკება მოუხდეს ინგლისს გერმანიასთან, მაგრამ ეს საქმე უბრალო გადასაწყვეტია და ადვილად მოსარიგებელიო. ინგლისის სურვილი ის არის, რომ ყველგან მშვიდობიანობა სუფევდეს და ეს კავშირი ხომ უფრო განამტკიცებს მშვიდობიანობის საფუძველსაო. ამის შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ უეჭველია დღეიდგან ოსმალეთიც თავს დაანებებს აქედ-იქით მიდებ-მოდებას და ამ სამთა კავშირს მიემხრობა, რადგან ძალა მათთან არისო.

**იტალია.** გაზ. „Politische Korrespondenz“-ის სიტყვით, პარიჟში ამჟა-

---

არა ნაკლებ საზარელი იყო მიწის-ძვრა ატლანტის ოკეანის პირას, პორტუგალიის დედა ქალაქში, ლისაბონში. 1755 წელსა 1 ნოემბერს, დილის 9 საათზე, უცბად საშინელი გრგვინვა-გრიალი მოისმა, დედა-მიწა შეირყა და სულ ექვს წამს არ გაუვლია, რომ სახლები, ეკკლესიები, მონასტრები საშინელის ზარით, ხმაურობით ძირს დაეცნენ. ხალხი გარედ გამოცვივდა და თავ-ზარ დაცემული ზღვის პირისკენ გაქანდა, ეგონა აქ სიკვდილს გადავრჩებითო. მართლაც და ზღვის პირი, რომელსაც მუდამ ტალღები სცემდა, ეხლა სრულიად დამშრალიყო, ზღვა უკუ-ქცეულიყო ნაპირიდგან. მაგრამ არ გაუვლია რამდენსამე წამს, ზღვა ისევ უკან დაბრუნდა, უშველებელი, 13 საჟენის სიმაღლე, ტალღა წამოვიდა ნაპირისაკენ, გამოვიდა ნაპირას და რაც აქ ხალხი იდგა, სულ ერთიანად წარლენა და ზღვაში ჩაარჩო. ნავთ-სადგურში 300-დინ გემ-ხომალდი იდგა, ესენიც სულ დავლიჯა და ჩაღუპა. ამბობენ, რომ მარტო ამ ერთმა ტალღამ 60 ათასი კაცი დაღუპაო. ამ მიწის-ძვრამ მარტო ლისაბონში არ მოახდინა ასეთი უბედურება; ამავე დროს ბევრი ქალაქები დაინგრა პორტუგალიას, ისპანიას, ინგლისში და, ასე წარმოიდგინეთ, ამერიკასაც კი მისწვდა. ამბობენ, რომ ამ მიწის-ძვრის დროს თითქმის ერთი მეცამეტე ნაწილი მთელის ქვეყნისა შეირყაო.

ერთის სიტყვით, ლისაბონის მიწის-ძვრა რაღაც საზარელი მოვლენა იყო ბუნებისა. რა ძალა უნდა ჰქონოდა ამ მიწის-ძვრას, იქიდგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რომ ერთი მეცამეტე ნაწილი ქვეყნისა და ასეთი უზარმაზარი ზღვა, როგორც ატლანტის ოკეანია, რომელსაც 10 ათას ვერსტამდე სივრცე აქვს, სრულიად შეარყია. ამავე მიწის-ძვრამ გავლენა იქონია მადნეულ წყლებზედაც. გერმანიასა და ავსტრიაში, რომელნიც ლისაბონზე კარგად მოშორებულნი არიან, ბევრი მადნეული წყარო სრულიად გაჰქრა, ზოგი აიმღვრა და სრულიად წახდა; სადაც წინად ცხელი წყალი იყო, იქ ცივმა დაიწყო დენა, ცივი, პირ-იქით, ცხელ-წყლად გადიქცა.

* * *

აი როგორია ის მტერი, რომელიც ქვესკნელში ბუდობს, იქიდგან მრისხანებს, გულსა ყრილობს და სასტიკად, შეუბრალებლად სჯის ადამიანსა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ. რასაკვირველია, ასეთი მაგალითი ასობით და ათასობით მოიპოვება. ვინ იცის რამდენჯერ მომხდარა ისეთი უბედურებაცა, რომ ამ უბედურების მოწამეც აღარ დარჩენილა. ასეთი უბედურება მეტად ხშირი იყო, ნამეტნავად უწინ. ჯერ ეხლაც, დღე არ გავა თურმე, რომ სადმე მიწა არ იძრას,—ასე გვარწმუნებენ მეცნიერები.

ამ საშინელმა მტერმა ძველის დროიდგანვე მიიპყრო ადამიანის ყურადღება. მაგრამ მტერი ისეთი ძლიერი, საშიშარი იყო, ისე მოულოდნელად და თან მრისხანედ თავს დაესხმოდა ხოლმე ადამიანს, რომ ადამიანი ვერ მიმხვდარიყო, რა იყო და როგორ ჩნდებოდა. მტერი უცბად, მოულოდნელად გაჩნდებოდა, შიშის ზარს დასცემდა ადამიანს, მოახდენდა საშინელს უბედურებას და მანამ შიშისაგან ატანილი, ცნობა-მიხდილი ადამიანი ისევ გონს მოვიდოდა, მტერი კიდეც გაჰქრებოდა ხოლმე. ადამიანმა მხოლოდ ის შეიტყო, რომ ამ მტრის მოსვლას წინ მოსდევს რაღაც საზარელი გრგვინვა, გრიალი და ხან ჭექა-ქუხილი, დიდი თოვლი და წვიმა მოჰყვება ხოლმე თანა. ისიც შეიტყო ადამიანმა, რომ მიწის-ძვრის დროს დედა-მიწა ხან ადის და დადის, თითქოს ქვეშიდგან ვიღაცა უზარმაზარს ზამინს საშინლად სცემსო. ამასთან ყველაფერი დედა-მიწაზე მაღლა ადის და დადის; ხეები, მიწაში ჩასმული ბოძები მიწიდგან ამოუძვრია და ჰაერში აუსვრია. საფლავები გადუშლია და კუბოები ზემოდ ამოუყრია; ხშირად უნახავთ, რომ დიდი უზარმაზარი სახლი მთლად ჰაერში ასულიყოს და ისევ მთლად თავის ადგილას დაბრუნებულიყოს. თუმცა უმეტესს ნაწილად კი ჰაერშივე დარღვეულან სახლები და დედა-მიწაზე ნანგრევები ჩამოცვივნილა.

სხვა დროს კიდევ დედა-მიწა ისე ირყევა და ირხევა, როგორც გემი ზღვის ღელვის დროს, ე. ი. სიგანეზე, გეზად. სახლები, ხეებიც ასე ირხევა,—ხეები ხან ერთ მხარეს გადიხრებიან, დაწვებიან სულ მთლად დედა-მიწაზე, მერე ისევ იმართებიან და ახლა მეორე მხარეს გადიხრებიან და მიწის პირად გაერთხობიან. რასაკვირველია, სახლები ამ გვარ რხევაში ირღვევა და სრულიად ინგრევა კიდეცა, მიწაც გასკდება, გაირღვევა ხოლმე ალაგ-ალაგას და, რაც ამ დროს აქ მოჰხვდება, სულ თან ჩააქვს. ხშირად ასეც მოხდება ხოლმე, რომ ერთს სადმე ალაგას საშინლად იძვრის მიწა და ამ შუა-გულიდგან ისრებივით წავა შორს, დიდს მანძილზე, იმრგვლივ ფეხს გაიდგამს ხოლმე. ასეთი მიწის-ძვრა იყო, მაგალითად, ამ რამდენისამე წლის წინად ინდოეთის ახლო: ერთი დიდი კუნძული თითქმის სრულიად ჩაიღუპა ზღვაში და თითონ ზღვაც ისე ძრიელ შეირყა და აღელდა, რომ ტალღებმა ამერიკამდინ მიაწვდინეს, ე. ი. ათი-ათას ვერსტზე შორს.

რა არის დედა-მიწის გულში, რა ძალა იმალავს თავსა აქ. ისეთი რა ღონე აქვს ამ ძალას, რომ ასე საშინლად არყევს და აძრევს დედა-მიწასა? რისაგან ხდება მიწის-ძვრა? ყველა ამაზე შემდეგს ფელეტონში მოვილაპარაკებთ.

დონ-აგო

მად დიდი ლაპარაკი და ბაასია თურმე ატეხილი იმის გამო, რომ იტალია გატ-ხარებულს შეიარაღებასა და მზადებაშია. საფრანგეთთან ხომ არ ემზადება საომრად იტალიაო, კითხულობს გა-ზეთი. საკვირველია, იტალიას რა სიმ-ტრე უნდა ჰქონდეს საფრანგეთთან, მით უფრო, რომ საფრანგეთი არაფერში ხელს არ უშლიდა იტალიის იმ განზრახვას, რომ ჩემა სამფლობელო დღითი-დღე უფრო და უფრო გავაფართოვოვო. საფრანგეთში იმ აზრისანი არიან, რომ იტალიას ის ურჩე-ვნიან შეიარაღებასა და საომრად სამზადისს, თავის სახელმწიფოს მეურნეობას მიაქციოს ყურადღება და ამ შეიარაღების გამო ეკონომიურს სიღარიბეში ნუ ჩააგდებს მთელს სახელმწიფოსაო.

~~~~

ბელგია. „Journal de Charleloi" ამბობს, რომ შეიძლება ბელგიი-სათვის ძალიან ცუდი შედეგი იქონიოს ლესსეპსის გერმანიაში მოგზაურობამაო. 1800 წელსაო, ამბობს გაზეთი, ნაპო-ლეონს რომ დიდი სიმძლავრე და გამბე-დაობა გამოეჩინა, ბელგიის სახელს აღ-მოჰფხვრიდა ევროპის რუკიდამაო; პრუ-სიამ მაშინ თითქმის რომ სრულიად და-უთმო საფრანგეთს ბელგიაო. სასურვე-ლია ვიცოდეთ, ეხლაც ხომ ამაზე არა ჰქონდათ ლაპარაკი ბისმარკსა და ლესსეპსს, როცა ერთმანერთი ინახულეს და ბელ-გიის მსხვერპლად შეწირვა ხომ არ გა-დასწყვიტეს ამ ორ დიდ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობისათვისაო.

~~~~

სერბია. სერბიის გაზეთები ამბობენ, რომ სერბია და ავსტრი-ვენგრია დაუახ-ლოვდნენ და შეუკავშირდნენ ერთმანერ-თსაო. სერბიამ პირობა მისცა ავსტრიას, რომ თუ ვინიცობაა ომი მოგიხდა ვისთან-მე, მე შენს მხარეს დავიჭერ და 200,000 კაცს მოგაშველებო. ამ ჯარის მთავარ-სარ-დლად თვითონ კოროლი მილანი იქმნე-ბა და აფიცრებად-კი ავსტრი-ვენგრიის ჯარის აფიცრები იქმნებიან დანიშნულ-ნიო. ამბობენ, ვითომ ხორვატოვიჩი იმიტომ გადადგა სამხედრო მინისტრო-ბიდგან, რომ ამ ავსტრი-ვენგრიისა და სერბიის ერთმანერთთან დაახლოვების წი-ნააღმდეგი იყოვო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთის 75 №-ში დაბეჭდილია ქუთაისიდგან მოწე-რილი ამბავი, რომელშიაც მცირე შე-ცდომაა ჩემს შესახებ. მართალია, 1883 წ. ქუთაისის საურთიერთო ნდო-ბის საზოგადოებაში არჩევანის დროს სხვათა შორის მეც დამასახელეს კან-დიდატად დირექტორის ადგილზე, მა-გრამ მე უარი განვაცხადე ჩემს კან-დიდატობაზე და არჩევანში არ გავ-რეულვარ.

ალ. ჭყონია

## გასართობი

~~~~

ურჩი ბავშვი. ამ დღეებში ლონდონის ერთს მოსამართლესთან მისულა ერთი ას ორის წლის მოხუცი დედა-კაცი და შეუჩივ-ლია: „წარსულს კვირას ჩემი სამოცდა-ათოთხმეტის წლის ქალი ვილაცა ქარაფ-შუტეებს აჰყვა, სოფელში წავიდა რაღაცა დღეობაზე; აი რამდენმა ხანმა გაიარა და ის საძაგელი კი შინ დაბრუნებას აღარა ჰფიქ-რობს. გთხოვთ, ბ-ნო მსაჯულო, სამაგალი-თოდ დასაჯოთ ჩემი ურჩი ბავშვიო". მსაჯულს გაეცინა და ღიმილით უთხრა შეწუხებულს დედასა: მოდით, თქვენ თითონ დადექით ჩემს ადგილას და თქვენ თითონ გასაჯეთ თქვენი ქალი, ოღონდ ძალიან სასტიკი მსაჯული კი ნუ იქნებით; ნუ დაივიწყებთ, რომ ახალ-გაზდობას ყოველთვის მხიარულება უყვარსო.

**

ბერლინის ჟურნალების ოხუნჯობა. ბერლინის საოხუნჯო ჟურნალებს დაუხატავთ სურათი, რომელიც ძალიანა ჰგავს თურმე ლესსეპსს. სურათს ქვეშ მოწერილი აქვს: საფრანგეთის სახელოვანი კაცი, რომელიც ქვეყნებს შუაზე ჰყოფს, აცალკევებს და ერებს კი აერთებს. გარდა ამისა იგივე ჟურნალები მოგვითხრობენ, ვითომ ლესსეპს დაეთვალი-ერებინოს გერმანიის სატახტო ქალაქი, ბერ-ლინი, და ეთქვას: „ბერლინი საჩემო ქალაქი არ არისო: აქ არხის გაჭრას ვერას გზით ვერ მოვახერხებდიო".

**

ძვირფასი ბეჭედი. სულთანმა სომხე-ბის პატრიარქის ხელით გაუგზავნა პაპს ლე-ონს ერთი ძვირფასი საჩუქარი, ბეჭედი, რო-მელსაც 60 ათას მანეთად აფასებენ. პაპი სულ-თანის საჩუქარს თურმე ხელიდგან არ იშო-რებს.

# დეპეშა

17 მარტი

ხარკოვი. სრულიად რუსეთის სახოფ-ლო და სამეურნეო გამოფენისათვის სახლის გეგმა დაამტკიცეს. მუშაობა დაიწყობა 15 აპრილიდამ და 1 აგვის-ტომდე უნდა გათავდეს. 400-მდე კაცმა თხოვნა შემოიტანა, ჩემი სა-ქონელიც მიიღეთ გამოსაფენადაო. ყოველ-დღე მოდის კიდევ ამ გვარი თხოვნები; შემოდის აგრეთვე შემო-წირულობანი გამოფენის საჭიროე-ბათათვის.

ვენა. როგორც იწერებიან ბოლ-გარიიდამ, სილისტრიის მეციხოვნეთა ჯარი აჯანყდა სარეგენტოს წინა-აღმდეგ. აქ მოვიდა სტოილოვი, რო-მელსაც მინდობილი აქვს შეიტყოს როგორც ვენაში, ისე სხვა სამეუფო ქალაქებში აზრი კაბინეთებისა სამ-თავრო ტახტის კანდიდატის თაობა-ზედ. რეგენტები ცდილობენ ხელ-მე-ორედ ამოირჩიონ ბატტენბერგი, ხო-ლო თუ ეს ვერ მოახერხეს, განზრა-ხვა აქვთ კობურგელი გამოიყვანონ კანდიდატადაო. იმათა ჰსურთ, რომ ერთის თვის განმავლობაში გადა-აწყვეტინონ დიდს სახელმწიფოებს ბოლგარიის საქმეო.

დღეს რუსეთის სამხედრო რწმუ-ნებულად ნამყოფი, გენერალი კაულ-ბარსი გამოეთხოვა იმპერატორს და პეტერბურგს მიდის.

18 მარტი

პეტერბურგი. „С.-Петербургскія Вѣдомости" გვაუწყებს, რომ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გადაემუშავა საბაჟო ტარი-ფი, უკვე გაათავა თავისი საქმეო. კომისიამ გადასწყვიტა, რომ ბაჟი მოემატოს საზღვარ-გარეთიდამ შემოტანილს ჩითეულსა, ძაფსა და სახამებელსაო.

გენერალმა ჩერნიევმა მიიღო დირექტორობა კურსკ-ხარკოვ აზოვის რკინის გზისა.

ნოვგოროდი. გუშინ მობრძან-და აქ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე.

სტამბოლი. რადგან პეშტში ხო-ლერა გაჩნდა, ხუთის წლას კა-რანტინი იქმნა დაწესებული, რათა ამ სახით ეს სენი არ შემოვიდეს დუნაისა და შავის ზღვის ნაპირე-ბიდამ. კარანტინი დაწესებულია სულინიდამ დაწყობილი ბურგა-სამდე.

## პეტერბურგის ბირჟა, 17-ს მარტს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაუყიდ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 28 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 180¼ |
| 5% პირველის შინა-განის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 246¼ |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 232 |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოკადოებისა. | — » | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი— უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წე-ლიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2876 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

19 დღე ხუთშაბათი. მოწ. ქრისან-ფესი და დარიასი. კათოლ. წმ. იოსებისა. სომეხ. მე-32 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. რაჰაიბის ღამე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. მთვარე 8 დღისაა.

20 დღე პარასკევი. ღირსთა მამათა წმ. საბას მოწყვედილთა: იოანესი, სერგი-სისა და სხვ. კათოლ. ალექსანდრესი და ეპ. ვიკენტისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმა-რიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამო-დის 5—43, ჩადის 6—26.

21 დღე შაბათი. ღირსისა იაკობისა და კირილესი. კათოლ. ბენედიქტესი და ფი-ლემონისა. სომეხ. წმ. მამის გრიგოლ გან-მანათლებლის ხაროში ჩაშვება. მუსულ. მე-9 რიცხვი თვისა რაჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფი-ლისში მზე ამოდის 5—40, ჩადის 6—27. მთვარე 10 დღისაა.

22 დღე კვირა. მოწ. ვასილი მღვდე-ლისა და სხვ. კათოლ. პავლესი. მუსულ. დაბადება იმამის მაჰედ-თალიასი (შიიტ.). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 5—39, ჩადის 6—28.

23 დღე ორშაბათი. ღირსისა ნიკო-ნისა და 200 მოწამეთა. ქათოლ. დედოფ. ეკატერინესი. სომეხ. მე-36 დღე დიდ-მარ-ხვიდგან. მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა რა-ჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაარსდა ამიერ კავკასიის ინსტიტუტი კეთილ-შობილ-თა ქალთათვის ტფილისში, 1840 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—37, ჩადის 6—30. მთვარე 12 დღისაა.

24 დღე სამშაბათი. ღირსისა ზაქარიასი და ეპისკ. არტემისა. კათოლ. მარკისა, ტი-მოთესი და პალმირისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—36, ჩადის 6—31.

25 დღე ოთხშაბათი. ხარება ყოვ-ლად წმიდის ღვთის მშობლის მარიამისა. კათოლ. ხარება. მუსულ. მე-13 რიცხვი თვისა რაჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. და-ბადება მე-4 ხალიფისა (შიიტ.) ჩამოსვლა ტფილისში გრაფის მიხეილ სიმონის-ძის ვარანცოვისა, 1845 წ.—ძეგლის აგება თავად მიხეილ სიმონის ძის ვა-რანცოვისა, 1867. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩა-დის 6—32. მთვარე 14 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | | 3 | » |
| » 2 | » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | » |
| » » 2— | | 3½ | » |
| » » 3 | » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა | | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | | 4 | » |
| მე-3 — | | 3½ | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 | » |
| » 2 | » | 7 | » |
| სუკი. | | 14 | » |
| ცხვრის ხორცი | | 10 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | » | » |
| » 2 | » | » | » |

~~~~

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათო-ბით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შო-რის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივ-ლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამ-შაბათობით შუა-ღამისას შორის გზით-პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვორო-სიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ-შაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუ-მიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთ-შაბათობით—დილის 9 საათზე და მიას-წრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავ-კასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატო-ლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარას-კევობითა და კვირაობით. რაკი გე-მი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან. ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადა-ზე გემები

კვირაობით, სადამოზე და სამშა-ბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი-ანთ საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭი-როა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის | | გადის | | სტანციები | მოდის | | გადის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საათ. | წამი. | საათ. | წამი. | | საათ. | წამი. | საათ. | წამი. |
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და სა-ღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

Доз. ценз. Тиф. 18 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე